სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

29 / აპრილი / 2026 წ.

KA080125066421126

№ **1402**

განკარგულება

ი.მ. გივი ნოზაძის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია;

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები: 10.09.2025 №166 (CMR250117658);

შესყიდვის ობიექტი: 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

მიმწოდებელი: ი.მ. გივი ნოზაძე (პირადი №54001001082);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2026 წლის 11 მარტს წარმოდგენილ იქნა ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 11 მარტის № 72-722607066 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2221), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ი.მ. გივი ნოზაძის (პირადი № 54001001082) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2025 წლის 10 სექტემბრის № 166 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR250117658) ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2.მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის givinozadze548@gmail.com მეშვეობით, 2026 წლის 17 მარტის № 1066 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 10 სექტემბრის № 166 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2025 წლის 10 სექტემბერს, მხარეთა შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო № 166 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR250117658), რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანში, სოფელ სკინდორსა და სოფელ ჭილოვანში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები, 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 36 695,71 ლარი, ხოლო მოქმედების ვადა – 2025 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების აქტების თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2025 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. საქმეში არსებული ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის და მშენებლობის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2026 წლის 13 თებერვლის № 03-722604443 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მიუხედავად სამუშაოების შესრულების და მოქმედების ვადების გასვლისა, სოფელ ვანსა და სოფელ სკინდორში სამუშაოების შესრულება დასრულებული არ იყო.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 10 485,10 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 29 %-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. გივი ნოზაძე უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა 2025 წლის 10 სექტემბრის № 166 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის

მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების მოცულობის 29%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, ი.მ. გივი ნოზაძე უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. ი.მ. გივი ნოზაძე (პირადი №54001001082) 2026 წლის 30 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ლევან რაზმაძე